## 3. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციები და გამგეობა

3.1. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს აქვს 5 დარგობრივი სექცია: ფილოსოფიის, ფილოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის და განათლების მეცნიერებების, რომლებშიც ერთიანდებიან საბჭოს წევრი შესაბამისი დარგის სპეციალისტები.
3.2. დარგობრივი სექციის წევრები ირჩევენ ხელმძღვანელს თავისი შემადგენლობიდან 3 წლის ვადით. დარგობრივი სექციის ხელმძღვანელს ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. ერთი და იგივე პირი დარგობრივი სექციის ხელმძღვანლად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
3.3. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის მდივანს (სექციის შემადგენლობიდან) სექციის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო 3 წლის ვადით.
3.4. სადისერტაციო საბჭოსთან იქმნება სადისერტაციო საბჭოს გამგეობა, რომლის შემადგენლობაში შედიან: სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი, სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციების ხელმძღვანელები და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.
3.5. სადისერტაციო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარეა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მდივანი – სადისერტაციო საბჭოს მდივანი.